

ნაკლებად რისკიანი საინვესტიციო პორტფელი აღწერა

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ 2018 წლის 6 აგვისტოს საქართველოს კანონის თანახმად, კანონის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდება მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში და წილობრივ ფასიან ქაღალდებში დაშვებულია ფონდის აქტივების 20%-მდე ინვესტირება. კანონის თანახმად, ნაკლებად რისკიან პორტფელში ინვესტირების მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო ჰორიზონტის ბოლოსთვის, მაღალი სანდოობით (95%) დადებითი რეალური ამონაგების მიღება. საინვესტიციო საბჭო მოელის, თუმცა არა გარანტირებულად, რომ საინვესტიციო ჰორიზონტის განმავლობაში ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში მიიღწევა მინიმუმ წლიური 2% დადებითი რეალური ამონაგები.

ძირითადი მაჩვენებლები

კონტრიბუციების დაწყების თარიღი:	01-იან-'19 წ.
ანგარიშგების თარიღი:	30-ნოემბ-'22 წ.
აქტივების წმინდა ღირებულება (მლნ. ლარი)	2,851
წმინდა შენატანები (მლნ. ლარი)	2,433
წმინდა ამონაგები დღემდე* (მლნ. ლარი)	418
წმინდა ამონაგები დღემდე* (%)	39.86%
მონაწილეების რაოდენობა ('000)	1,173
სააგენტოს წლიური ხარჯი	მაქს. 0.50%
სპეც. დეპოზიტარი	საქართველოს ბანკი
აუდიტორი	PwC

*კონტრიბუციების დაწყების თარიღიდან ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით.

საინვესტიციო პორტფელის შედეგები

შედეგები:	ნოემბერი 2022	ბოლო 12 თვე	დასაწყისიდან დღემდე**	დასაწყისიდან დღემდე	რისკიანობის მაჩვენებლები	დასაწყისიდან დღემდე
წმინდა ნომ. ამონაგები	0.77%	7.55%	8.95%	39.86%	ვოლატილურობა **	1.23%
ინფლაცია	0.47%	10.44%	8.47%	37.50%	შარპეს კოეფიციენტი**	-0.43
რეალური ამონაგები	0.30%	-2.62%	0.43%	1.71%	მაქსიმალური კლება	1.25%

** გაწლიურებული.

წყარო: საპენსიო სააგენტო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი.


ყოველთვიური შედეგები:

წელი	იან.	თებ.	მარ.	აპრ.	მაი.	ივნ.	ივლ.	აგვ.	სექ.	ოქტ.	ნოე.	დეკ.	12 თვე
2019	0.00%	0.21%	0.39%	0.50%	0.49%	0.56%	0.56%	0.56%	0.57%	0.65%	0.70%	0.75%	6.12%
2020	0.77%	0.72%	1.19%	1.14%	1.13%	1.09%	1.10%	1.06%	1.01%	1.02%	0.97%	0.99%	12.90%
2021	-0.41%+	0.79%	0.87%	0.83%	0.89%	0.86%	0.90%	0.90%	0.86%	0.87%	0.85%	0.88%	9.49%
2022	0.90%	0.81%	0.86%	0.46%	0.01%	0.28%	0.43%	1.09%	-0.19%	1.02%	0.77%		6.61%+*

+ ახალი შეფასების მეთოდოლოგიაზე გადასვლა, დამტიკებული საინვესტიციო საბჭოს N19 ოქმის მიხედვით.


** წლის დასაწყისიდან დღემდე

აქტივების წმინდა ღირებულება (მლნ. ლარი)



წყარო: საპენსიო სააგენტო

ჰიპოთეტური 1,000 ლარის დანაზოგის ზრდა




წყარო: საპენსიო სააგენტო

საპენსიო სააგენტოს შესახებ

საპენსიო სააგენტო შეიქმნა 2018 წელს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად და იგი წარმოადგენს განსაზღვრული შენატანების მე-2 სვეტის საპენსიო სქემას. საპენსიო სააგენტო ახორციელებს საპენსიო დანაზოგების ადმინისტრირებას და ინვესტირებას საპენსიო სქემის მონაწილეთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. საინვესტიციო საქმიანობას ახორციელებს სააგენტოს საინვესტიციო სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი და უდამხმეველობს საინვესტიციო საბჭო. საპენსიო სააგენტოს მმართველობის სტრუქტურა შეესაბამება საპენსიო ფონდების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. საპენსიო სააგენტო პასუხისმგებელია ხარისხიანად და ჯეროვნად მოემსახუროს საპენსიო სქემის მონაწილეებს და განახორციელოს მათი დანაზოგების ინვესტირება დადებითი რეალური ამონაგების მიღების მიზნით.


დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ www.pensions.ge ან დაგვიკავშირდით: info@pensions.ge; ტელ: 14 80

ფონდის წმინდა ამონაგები და ინფლაცია



წყარო: საპენსიო სააგენტო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური


საპროცენტო ინსტრუმენტების შემოსავლიანობა



წყარო: საპენსიო სააგენტო


აქტივების განაწილება

საინვესტიციო ინსტრუმენტების მიხედვით




წყარო: საპენსიო სააგენტო

გეოგრაფიული ალოკაცია




წყარო: საპენსიო სააგენტო

ვალუტის მიხედვით




წყარო: საპენსიო სააგენტო

ცვლადი და ფიქსირებული განაკვეთი




წყარო: საპენსიო სააგენტო

აქტივების განაწილება ვალიანობის მიხედვით*



*არ მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს და წილობრივ ფასიან ქაღალდებს
წყარო: საპენსიო სააგენტო

აქტივების განაწილება საკრედიტო რეიტინგების მიხედვით**



**არ მოიცავს წილობრივ ფასიან ქაღალდებს
წყარო: საპენსიო სააგენტო, Standers & Poor's, Fitch Ratings, Scope, Moody's

ტერმინების განმარტება

აქტივების წმინდა ღირებულება - მთლიან საპენსიო აქტივებსა და მთლიან საპენსიო ვალდებულებებს შორის სხვაობა.

სააგენტოს წლიური ხარჯი - საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო და ადმინისტრაციულ აქტივობებთან დაკავშირებული მთლიანი წლიური ხარჯების წილი აქტივების წმინდა ღირებულებასთან მიმართებაში.

წმინდა ნომინალური ამონაგები - მთლიან ამონაგებსა და მთლიან ხარჯებს შორის სხვაობა.

ინფლაცია - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის (CPI) პროცენტული ცვლილება.

რეალური ამონაგები - ინფლაციით შესწორებული წმინდა ნომინალური ამონაგები.

ვოლათილურობა - გაწლიურებული თვიური ნომინალური ამონაგების სტანდარტული გადახრა.

შარპეს კოეფიციენტი - პორტფელის საშუალო მომგებიანობასა და ურისკო აქტივების საშუალო მომგებიანობის სხვაობის ფარდობა პორტფელის ვოლათილურობასთან. ურისკო აქტივების მომგებიანობის საზომად გამოყენებულია ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო უკუგება.

მაქსიმალური კლება - საანგარიშგებო პერიოდში დაფიქსირებული აქტივების წმინდა ღირებულების ყველაზე დიდი ვარდნა.

აქტივები ცვლადი განაკვეთით - აქტივები, რომელთა სარგებელი ცვალებადია და დამოკიდებულია გარკვეულ მითითებულ საპროცენტო განაკვეთზე.

აქტივები ფიქსირებული განაკვეთით - აქტივები, რომელთა სარგებელი ფიქსირებულია და არ იცვლება საინვესტიციო პერიოდის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ანგარიში მომზადებულია დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის. აღნიშნული ანგარიში და მასში არსებული მონაცემები საინფორმაციო ხასიათისაა და არ წარმოადგენს რაიმე სახის შეთავაზებას, რეკომენდაციას, რჩევას ან/და დაპირებას დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის ან/და სხვა მესამე მხარის მიმართ.

ანგარიშში არსებული მაჩვენებლები ასახავს მთლიანი საპენსიო ფონდის შედეგებს და შესაძლოა განსხვავდებოდეს ინდივიდუალური მონაწილეების შედეგებისგან, რაც დამოკიდებულია მათი შენატანების განხორციელების დროსა და რაოდენობაზე.

ნებისმიერი ინვესტიცია დაკავშირებულია რისკთან. გასული პერიოდის შედეგები არ წარმოადგენს მომავალში მათი გამეორების გარანტიას ან მოლოდინს. დოკუმენტში არსებული მონაცემები შეესაბამება დოკუმენტის პირველ გვერდზე მითითებულ საანგარიშგებო თარიღს და შესაბამისად, არ ასახავს ფონდის მდგომარეობას სხვა ნებისმიერი თარიღისთვის.

ანგარიშში რიგ შემთხვევებში გამოყენებულია მესამე მხარისგან მოპოვებული ინფორმაცია. საპენსიო სააგენტო მიიჩნევს, რომ ეს მონაცემები არის სანდო და ზუსტი და არ ამოწმებს აღნიშნული მონაცემების სისრულეს, დროულობას და სიზუსტეს. საპენსიო სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის მონაცემებში შეცდომის/შესწორების შედეგად წარმოშობილ ზიანსა ან დანაკარგზე.